თავდგირიძიანთ გვარის ღალატი
და
ალი ფაშა თავდგირიძე

„ნახამ ჩვენ ბედ-შაობას,
ჩვენს ერთობას დარღვეულს!“
ილ. ჭავჭავაძე.

ახალ-სენაკი
სტამბა კ. თავართქილაძისა
1896

თავდგირიძიანთ გვარის ღალატი

და

ალი ფაშა თავდგირიძე

ჟამთა ვითარებამ საქართველო აღამაღლა, დააწინაურა, შინაგან და გარეგან ძლიერის ძალოვნებით შემოსა. ერთ დროს ქართველნი თანაბარნი იყვნენ ძველის განათლებულ სახელმწიფოებისა. ქართველნი განვითარების მხრით მალე აღვიდნენ უმაღლეს წერტილამდის. საქართველოს ერი მოირთო სწავლა მეცნიერებით, ხელოვნებით, მხატვრობის ცოდნით, ჩუქურთმის
ჭრით, მიწის მზომელობით, ექიმობით, სამხედრო ძალით, მოქალაქობით და მამულის მოყვარე გლეხ-კაცობით. ქართველი ერი და საქართველო რომ ისეთის ძლიერებით იყო გარემოცული, ამას აშკარათ ამტკიცებენ დღევანდლამდე აქა იქ დარჩენილნი უზარმაზარნი ეკკლესია, ციხე-კოშკ-მონასტრები და ხიდები. ასე იცის ერთობამ და ერთობის ძალამ. ეს ნაშთნი მოწამენი არიან

იმ წუთების, როცა ამაღლდა ჩვენი სამშობლო და ამასვე ხატავს შემდეგი:

„აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა ცა,
როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა“

გავიდა ხანი და ჟამთა ვითარებამვე დასცა

საქართველო და სასტიკათ დააუძლურა ქართველი.

გარეშე მოსეულ მტრებთა მეოხებით შინათ ავიშალენით, ერთი ოჯახის და ტომის შვილებმა ერთმანეთს დაუწყეთ ქეჯნა და ღალატი, კერძო პიროვნულის ანგარიშებით გატაცებულებმა უღალატეთ ქვეყანას და ერის ერთობის საქმეს და ჩვენის ხელით ჩვენს თავზე ვქმენით ის რაც ჩვენზე მოსეულს მტრებს უნდა ექმნათ თავიანთის ხელით. უკანასკნელ ჟამს ქართველთა შვილებს ისე გაგვილაღდა გული, ისე გარდაგვებანა წმინდა გულის ძგერა, ისე შევიცვალენით და ისე გადავსხვაფერდით, რომ თვით
ჩვენვე გავხდით ჩვენის სამშობლო ქვეყნის მტერნი, ჩვენი მამულის დამაქცევარნი, ჩვენს მოსისხლე მტრებს მივენდ-მოვენდევით, მათ დროშის
ქვეშ შეველით, მათ ერთგულებას და სამსახურს მივეცით თავი, მათგან ველოდით ჩვენს შვებას, ამაღლებას და დიდებას, ქვეყანა და ერი თით-
ქმის გავყიდ გავცვალეთ. ამაზე სთქვა პოეტმა: „შენ რა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა“.

– 5 –

ყველა ეს გულმოსაკლავ და სამწუხარო მოგონებანი მკაცრათ გვფლობენ და გვაგონდებიან მაშინ, როცა კი ჩვენ მოვიგონებთ დასავლეთ ქართველთა და საქართველოს ბედს, ოსმალთაგან ამ ერისა და ადგილების დაკავებას, მათგან ატეხილ დიდის ხნის ბრძოლას და უკანასკნელ ქართველთა ისე დამორჩილებას და დაუძლურებას, რომ ქართველნი თვით გახდნენ მტერნი ქართველობისა, საქართველოსი, ქრისტიანობისა და გუშინ წინ თავის სამშობლოსაგან გამდგარი ქართველი, სჯულიდამ, მამულიდამ, ეროვნებიდამ ხელ აღებული, დღეს თავის ტომისავე ქართველს და საქართველოს მტერს წინ მოუძღოდა და ყველაფრის დანთქმა დანაცრებას უქადდა. ასეთ პირებს, ასეთს იუდა გამცემლებს, გულსა და სულს გარდაბანილებს და გაფუჭებულებს, ჩვენ, ჩვენს ისტორიაში ასობით და ორასობით ვპოვებთ.

ამას ჰგლოვობს ჩვენი ისტორია, ამას ჰკვნესიან ჩვენი მგოსნები, ამას სწუხან ყველა ჩვენი მოწინავე მამულის შვილები და მწერლები. ამას შეეხო ბ. ნიკოლოზ ნიკოლაძე 1873 წ. ამასვე შეეხნენ მრავალნი სხვანი და ამასვე მის-

ვტირი მე. ვსდგევარ არსიანის მთაზე, ვუმზერ მთელ დასავლეთ საქართველოს, ვტირი მწარეთ,

გული ვერ მითმენს, ვსწყევლი ჩემს გაჩენის დღეს და ასეთ სამგლოვიაროს მღელვარებით აღვსებულს... მაგრამ რას ვიზამთ, ეს არს მხვედრი მისი, ვინც ჩვენს სამშობლოს გაიცნობს, ნამეტურ დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან მთლათ ფერფლით ქცეულს.

II.

ჩვენის დიდებულის სამშობლოს საუბედუროთ, საკმარისად განვითარებულს და ამაღლებულს ქართველების დასაღუპათ, ზოგიერთის ჩვენის ჩვილის მეფეებისაგან, საქართველოში იწყეს თავად-აზნაურობამ გამრავლება. ამ გამრავლებას საქართველოსთვის მეტათ ცუდი შედეგი მოჰყვა, რადგანაც თავად აზნაურებში ათი და ოცი თუ რიგიანი პირები იყვნენ, მიტომ მის მაგიერ ასობით ურიგო და უხეირო პირებიც ჩნდებოდნენ, რომელნიც თავიანთ უმაღლესის გვარ შთამაოებით მედიდურებით ყოველთვის მერყეობაში იყვნენ შთაცვივნული, გონება და ხასიათით გალაღებულნი აქა იქ ლტოლვას ეძლეოდნენ და პირად სიამოვნების გამო მეცადინეობას, ბრძოლას და ათას ნაირს ხრიკებს, რომ ერთს მეორესთვის გაესწრო წინ,

ერთი დაწინაურებულიყო და მთელი ქვეყნის ბედი ხელთ ეპყრა. ამის მოსაპოებლათ იგინი აღარაფერს ერიდებოდნენ, ყოველნაირს ღონისძიებას ხმარობდნენ, თვით მეფისა და ქვეყნის ღალატსაც, ოღონდ კი იგი ერთი ამათგანი დაღუპულ ქვეყნის რომელიმე კუთხის მფლობელათ გამხდარიყო.

ასეთ პირებს მზე და მთვარე გაუბრწყინდათ მაშინ, როცა საქართველო უძლურებას მიეცა და გარეშე მოსეულ მტრებმა გვიწყეს აოხრება, ამ გარეშე მოსეულ მტრებისთვის საჭირონი იყვნენ შინათ გამცემელნი, იუდანი და აგერ ამათ მალე ჰპოვეს ჩვენს ერისთავებში ქართველთა მოღალატენი, ქართველთა მეუკადრისენი, ქართველთა მგმობელნი და დამნაცრებელნი. გალაღებულთა ქართველთა ზოგთა იწყეს მტრის ერთგულება და ქართველთა ორგულება, მტრებმა ესენი ისე აღბორგეს, ისე

აღამხედრეს ბილწის გონებით და ჰაზროვნებით, ისე მოდრიკეს და გაამხეცეს, ვითარცა დაბრმავებულნი და ბნელსა შინა მავალნი იუდანი.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენს სამშობლოს რა გაჭირება უნდა მოსვლოდა? სრულიად არაფრის. იგი გაძლიერდებოდა, წინ წავიდოდა და ამაღლდებოდა ყოველნაირის

ძალოვნებით. მაგრამ ასე იცის იქ, სადაც მოწინავე ძალა ეცემა, სადაც ის ჰკარგავს სულის სიმაღლეს, მამულის სწორ ჭეშმარიტს სიყვარულს, უზომო პატრიოტობას და ერთ უბრალო რამის გამო, ერთ რამ კერძო სიამოვნების გულისთვის ქვეყნის ღალატს და ბოროტებას ეძლევა.

გარემოებამ ესენი ისე შესცვალა, ისე გადაასხვაფერა, რომ მათ მალე დაუწყეს ურჩობა თვით მეფეებს, ესენი არას ეპოებოდნენ მათ, მთავრების მორიდება ხომ სულ არ ჰქონდათ, ყოველი მათგანი იმ ანგარებით იყო გარემოცული და აღბორგებული, რომ მე თვით ვარ ამა და ამ ხეობის თავადი, მთავარი და მეფეო, მე თვით მაქვს ჩემს ხეობაში ჩემი საკუთარი კოშკი, ციხე და ტაძარი. რად მინდა მთავარი, რას ვაქნევ მეფეს. ჩემის მხრის ერის ბედი ჩემს ხელში უნდა იყოს, მეფეც მე უნდა ვიყო და კანონ მდებელიცაო!

ჩვენდა საუბედუროთ ჩვენს სამშობლოში ასეთი მოღალატე პირები იქამდის გამრავლდნენ და გახშირდნენ, რომ ესენი აღარც მეფეს ეპოებოდნენ და აღარც ბატონიშვილებს, ამათ მეფეები ხელზე დაიხვიეს, პამპულათ გახადეს, მეფე ამათ სიტყვის და ძალის მორჩილებას მიეცა,

ამათ როცა სურდათ, მეფეს მაშინ დასვამდნენ ტახტზედ, როცა უნდოდათ, ჩამოაგდებდნენ. გარეშე მტრებსაც ეს სურდათ, ამათაც ეს უნდოდათ, იგინი ამის მეტს სხვას არას ეძიებდნენ. ეს იყო მათთვის სასარგებლო და სანატრი, ამას მოითხოვდა მაჰმადიანთა პოლიტიკა.

ჩვენი მეფეები საბრალო არსებებათ შეიქმნენ ერისთავების წინაშე, მათ აღარაფრის ძალა არ ჰქონდათ. ხანდისხან კი ჩნდებოდნენ ისეთი გულოვანი მეფეები, რომლებიც შინათ მოღალატე პირების გაცემას მრისხანეს თვალით უმზერდნენ, რისხვას სცემდნენ მათ ბოროტებას და თავისუფლათ ნავარდობის ნებას არ აძლევ-

დნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთ გმირი
მეფეები ჩვენს ქვეყანას უკანასკნელს საუკუნო-
ებში ხშირათ აღარ ევლინებოდნენ, ამიტომ
ერის-
თავები და სხვა კეთილშობილ სისხლნი ჩადი-
ოდნენ იმას, რაც მათ სიამოვნებით სავსე გულ-
სა და სულს ენატრებოდა, ერთი უბრალო ამა-
თი შური და მტრობა ჰბადავდა ქვეყნის აღ-
რევას და ჟლეტა წყვეტას, მაგალითებრ: ერთის
თავადის ქალი რომ მეორე თავადის შვილს
სდომნიყო შესართავად და მესამე ოჯახის შვილს
შეერთო, მაშინ ამათში ჩხუბი და ომი ატყდე-
ბოდა და ამ სამი ოჯახის გლეხკაცობა ერთ-

მანეთს ჟლეტდენ და სწყვეტდენ, ერთი გვარის
ხალხი, ხშირათ ნათესავნიც კი თავიანთ ბატო-
ნების მეოხებით მტრებათ უჩნდებოდნენ ერთ-
მანეთს და უწყალოდ ჟლეტავდნენ! ასეთ მება-
ტონეთაგან ვინ იცის რა ნაირი ვნება არ მო-
სდიოდა საქართველოს და ნამეტურ გურია
იმერეთს. აი ასეთ მოღალატე და გალაღე-
ბულ გვართა რიცხვს ეკუთვნიან თავადი თავ-
დგირიძეები.

თავდგირიძეები იმერეთში ძველათვე იქმ-
ნენ ცნობილნი და მეთვრამეტე საუკუნეში სა-
კმარისათაც ამაღლდა ეს გვარი. ამათ ბინათ
სადგური იყო გურიისაკენ, ესენი გურიის მთა-
ვართაც ენათესავებოდნენ და ხშირი მისვლა
მოსვლაც ჰქონდათ ერთმანეთში. მთავრებთა
შორს ნათესაობამ უფრო გაამედიდურა თავ-
დგირიძეების გვარი და აამაღლა უმეტესად.
საქმე იქამდის მივიდა, რომ გურიის იქით, ბა-
თუმამდის, სადაც კი ამ გვარის თავადის შვი-
ლნი სცხოვრობდნენ, იქ გამოცხადნენ ესენი
მთავრებათ, თავადობა აღარ იკადრეს, თავა-
დთა უმაღლესობა ინდომეს და სრული გამთა-
ვრება და ბატონობა ქობულეთში. თავდგირი-
ძეების გვარის ასე ამაღლებამ ცოტა არ იყოს
გურის მთავარზედაც იქონია გავლენა, გურიის

მთავრის წევრნი თვალხილულათ მიხვდნენ მას, რომ
მათგან გათამამებულ და გალაღებულ თავდგი-
რიძეების გვარის ამაღლება იყო მათი გაურკ-
ვეველი შეცდომა, მაგრამ ამ შეცდომას რაღა
უშველიდა, აღარაფერი, გურიის მთავრები თა-
ვიანთ შეცდომას და სხვაფერ დამოკიდებულე-
ბას თავდგირიძეებთან წმინდა ნათესაურს მნი-

შვნელობას აძლევდნენ, ნათესავურს კავშირს
და ასე და ამისთანა მხარეებით შოშმინდებოდ-
ნენ და აწყნარებდნენ თვის მჩქროლვარე გულს,
განაზებულს თვისებას და გვართ შთამაოების
ოცნებას.

მაგრამ განვლო დრო და ჟამმან და თავ-
დგირიძეებს და გურიელებს შორის მცირე რამ
უკმაყოფილება ჩამოვარდა. ამათმა სიამოვნე-
ბის გულმა ერთმანეთის უკმაყოფილება ვერ
აიტანა. იგინი ერთმანეთს სასტიკად ეწინაღმ-
დეგნენ და ერთმანეთის შებმა ისურვეს. სამარ-
თალი და კანონი მოითხოვდა, რომ თავდგირი-
ძეები გურიელების მორჩილებაში უნდა ყოფი-
ლიყვნენ და ამათ მათი მორიდება უნდა ჰქო-
ნოდათ, მაგრამ თავდგირიძეებმა ეს არ ინდომეს.
ესენი აღივსნენ მედიდურებით და კეთილ შო-
ბილურის სისხლით და დაიწყეს გურიის მთავ-
რების წინააღმდეგ მოქმედება. აი სწორეთ ამ-

დროს შეესწრა ვინმე მამუკა თავდგირიძე, რო-
მელიც საკმარისად განლაღებულ იყო თვით
გურიის მთავრებისაგან.

როცა ეს პირი უზომოთ განლაღდა, მას
შემდეგ მასთან ვეღარავინ გააწყო რა. იგი ქო-
ბულეთში გამოცხადდა ერთ უსასტიკეს გვამათ,
გურიელის მოქიშპეთ, მთავრის ღირსების მოტ-
რფიალეთ, მის მოდავეთ მის მოთავთიშეთ. მე-
დიდურთ თავადთა მეოხებით საქმე ისე მოეწყო,
რომ მამუკა თავდგირიძე გახდა გურიის
მთავრის
დაუძინებელი მტერი და იმ ზომამდის წინ წა-
სული, რომ უკანასკნელ თვით გურიის მთავ-
რობის მოტრფიალეთაც კი აღმოჩნდა. ამან
განიზრახა გულში გურიელების ღალატი, ოს-
მალთ მიმხრობა და მერე ოსმალთა მეოხებით
ყველა თავის განძრახულებათა შესრულება. ბო-
როტი გვამის საღალატო განძრახულებანი დიდ
ხანს არ დარჩა საიდუმლოთ. იგი მალე იქმნა
გურიის მთავრისაგან შეტყობილი და მიტომ
მათში ჩამოვარდა სასტიკი მტრობა და ბრძოლა.
ამათ ბრძოლას მეტათ ცუდი შედეგი მოჰყვა.

გურიელებმა თათბირი ჰქმნეს ზოგიერთ
კეთილ გვამთა თანა დასწრებით და
უკანასკნელად
გადაწყვიტეს, რომ მამუკა თავდგირიძეს უნდა
დავეცეთ, ქობულეთი ჩამოვართოთ და გურიას

შემოუკავშიროთო. ეს ჰაზრი ყველას მოეწონა, გურიელნი სამზადისს მიეცნენ, აქ უცბად გაჩნდნენ შინათ გამცემნი და მამუკა თავდგირიძეს მოახსენეს.

– გურიელი შენს დაცემას აპირებს და აბა შენ იცი თუ გაუმაგრდები და შენ დაცემის მაგიერ მათ დასცემ, გურიელობას წაართმევ. გურიელათ შენ გამოცხადდი, ამისთვის ხონთქარიც შეგეწევა.

– ეგ მე ვიცი, რაცღას წამართმევს გურიელი და თვით შეიკავშირებს, ვნახოთ, მოუძებნი მას წამალს.

მამუკა თავდგირიძეს აღარც აცია, აღარც აცხელა, საჩქაროთ გადავარდა ახალციხეში და ახალციხის ფაშას მოახსენა შემდეგი:

– დიდის მზისა და მთვარის ფაშავ, მე მსურს ხონთქრის ერთგულება. გურიელი მე მტრობს, ჩემი სამფლობელოს წართმევა უნდა და გურიასთან შეერთება. ეს კი წინააღმდეგია ოსმანის ძლიერებისა. ამიტომ ვითხოვ თქვენგან მფარველობას, თქვენ მე დახმარება მომეცით და მერე მე ვიცი, როგორც გიერთგულებთ თქვენა, მე წმინდის მაჰმადის სჯულს მივიღებ. დასამტკიცებლათ იმის, რომ ერთგული ვიქნები ოსმალის, მე წარმოვადგენ ჩემს შვილს მძევლათ.

– 14 –

– ძალიან კარგი, ეგ კარგი პირობა არის, შენი შვილი მძევლათ წარმომიდგინე და მერე მე ვიცი შენის დახმარებისა.

მამუკა თავდგირიძემ მალე წარუდგინა თავის შვილი მაქსიმე მძევლათ. მაქსიმე დარჩა ახალციხის ფაშის კარზე და აქ მას თათრულებრ დაუწყეს ზრდა. მალე თათრობაც შეაყვარეს. ახალ გაზდა მაქსიმე დაარწმუნეს, რომ შენ თათრულებრ იწყე მოქმედება და სხვაფერ ფიქრი ნუ გაქვს, შენს საბძანებელს არავინ გამოგწირავს, ყველაფერი შენ დაგრჩებაო და იქნება გურიაც ზედ დაემატოსო.

ამათაც ეს უნდოდათ.

გურიელებს ყველაფერი ეუწყათ, ამათ მიწერ-მოწერა დაიწყეს ახალციხის ფაშასთან და საუბარი მასზე, რომ თქვენ არ შეგფერით, რომ ჩვენს მოღალატეებს იახლოვებთ და ჩვენს წინააღმდეგ რაზმავთო, ამას ჩვენი მეზობლური კეთილი განწყობილება ვერ აიტანსო, თორემ თქვენ რაც უნდა მიიმხროთ ეგენი, ჩვენ მაინც გადაწყვეტილი გვაქვს მათი დამორჩილებაო, გურიის ვითარება ამას თხოულობსო.

გურიელმა ფაშისაგან ასეთი პასუხი მიიღო:

– ჩვენ შენს მეზობლობასთან საქმე არა გვა-
ქვსო, ჩვენ მუსულმანები ვართ და თქვენ ქარ-

თველები, ვინც ჩვენს სჯულს ეკედლება, ჩვენ
მოვალეები ვართ, რომ იმას დავეხმაროთ, იმას
უშველოთ. მამუკა თავდგირიძე მაჰამადის ერთ-
გულია და ჩვენ მიტომ ვეხმარებით მას. თუ
გნებავსთ, გათათრდით და მაშინ თქვენც მო-
გემხრობით, მაშინ თქვენში სადავო არაფერი
გვექმნება. ამას თხოულობს მუსლიმანობა.

გურიელმა პასუხი მისცა, უარი შეუთვალა
ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ის კაციც,
ვინც სჯულს იცვლისო. იყოს მაგრეო, რო-
გორც გერჩიოთ, ისე მომექეცითო, ვნახავთ ბო-
ლოსაო?

მალე გურიელის, ახალციხის ფაშის და
თავდგირიძეებს შუა ომი და ოდიგრები დაიწყო.
ეს ომი და ოდიგრები ისე წავიდა წინა, რომ
მამუკა თავდგირიძემ ქობულეთი სულ
აჭარელის
ყაჩაღებით გაავსო. აჭარელნი უღვთოთ და
ქურდულათ ეცემოდნენ გურიას და ხალხს იტა-
ცებდნენ. მოტაცებულები ოსმალში გადაჰყვან-
დათ და იქ ჰყიდდენ კაი ფასათ. აჭარლები თავ-
დგირიძემ ისე გაათამამა და გაათერიშა
გურიაზე,
რომ მასზე უსასტიკესი აღარა იქმნებოდარა. მა-
მუკა თავდგირიძეს სამშობლო ქვეყნის ღალატი,
მტრობა სანაქებოდ დაშთა ახალ ციხის ფაშის-
თვის და ნამეტურ აჭარლებისთვის. ამიტომ თავ-

დგირიძეებს აჭარაში მამულიც აჩუქეს. ესენი
მალე გადავიდნენ იქ. ზოგ ამათაგანნი სოფელს
მახუნცენთან დასახლდნენ. ეს ხანა მიეწერება
1760-1770 წლებსა.

აჭარის ბეგებმა ასე მაუწყეს, რომ აჭა-
რაში თავდგირიძეების მოსვლა 1770 წლებს
მიეწერებაო. ახალციხის ფაშამ ოსმალოს ჯა-
რით და აჭარლებით გურია სძლია, მამუკა თავ-
დგირიძე ქობულეთის მფლობელათ
გამოეცხადა,
გურიელებს და თავდგირიძეებს შუა მეზობლუ-
რი განწყობილება დაარსდა და დამტკიცდა,
ამის-
თვის პირობა ხელ წერილით იქმნა დამტკიცე-
ბული. თავდგირიძეები გადგნენ გურიის სამთა-
ვროსაგან და იმ დღიდგან ამათ იწყეს თათრო-

ბა და თათრობისავე პატივის ცემა და ერთგულება. ამასობაში მამუკა თავდგირიძის შვილი მაქსიმეც გაიზარდა, ეს თუმცა თათრობაზე იყო გა-
მოზდილი, მაგრამ ამას მაინც საკმარისად ერიდებოდა სჯულის გამოცვლა. ახალ გაზდა მაქსიმე გურიელებმა დაიახლოვეს, ამათ განიძრახეს მაქსიმეს მეცადინეობით ქობულეთის დამორჩილება და ერთგულება, ამიტომ მაქსიმე თავდგირიძეს შერთეს დავით გურიელის ქალი, მამიდა ცნობილის გრიგოლ გურიელისა.

განვლო დრო და ჟამმან და აკი მაქსიმე

თავდგირიძეც არ მიიზიდეს ოსმალთა. ამას გვამში მკაცრათ ჩაუნერგეს ფაშობის შოვნის ტრფიალი.

ფაშობის მეძიებელი მაქსიმ თავდგირიძე ისე მოხიბლეს, ისე არიეს, რომ ამან მალე ისურვა თათრობის მიღება და გურიელებისაგან გადგომა. ამ დროს ამას მამაც მოუკვდა. ამან უფრო წააქეზა იგი. აშკარათ უწყო ქვეყანას მტრობა. სასტიკათ გადაეკიდა გურიელებს, მათში შეიტანა შფოთი და საგვარეულო განხეთქილება. ეს არ იკმარა მტერმა და ქვეყანას და ერს სხვა მხრით და სხვა გზითაც დაუწყო მტრობა და ღალატი. მაქსიმე თავდგირიძემ ჩუმათ გაიჩინა აჭარელთა ყაჩაღებთა დასი, ამათ იწყეს გურიიდამ ხალხის ტაციობა და ოსმალში ვაჭრობა. ამ ხელობას ადგა მამუკა თავდგირიძე და შვილიც მამის გზას და კვალს გაჰყვა. საქმე სახუმრო აღარ იყო. გამხეცებულთ თათარ ყაჩაღები გურიის ხალხს აქა-იქ შეუბრალებლათ იკლებდნენ და ანიავებდნენ. გურიელები მოთმინებისაგან გამოვიდნენ, ამიტომ ამათ მიმართეს მაქსიმე თავდგირიძეს და მოახსენეს.

– ვაჟო! დაანებეთ ღალატს თავი, ჩვენი თუ ჯავრი გჭირს, ჩვენ გვედავე, ჩვენ გვეჩხუბეთ. ე ხალხს თავი გაანებეთ.

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მაქსიმე თავდგირიძემ ეს არ ინდომა.

– რას მიქვიან მორიგება, მე თვით გურიელი ვარ, მე თვით ვარ მთავარი ჩემის მხრისა, ოსმალს მივემხრობი და გიჩვენებთ თქვენ სეირს. თქვენ გინდათ, რომ ქობულეთი წამართოთ და გურიას შეუერთოთ, ეს არ იქნება, ქობულეთის ბატონათ და მთავრათ მე უნდა დავშთე.

–იყოს მაგრე, მაგრამ ვინც ინანოს, იგი იყოს მღვთის წინაშე პასუხის მგებელი, ბატონო, რათ გინდათ მაგრე მეფობა და გამგეობა. ჩვენი ერთობა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, თუ ეს არ იქმნა, მაშინ ოსმალნი წაგართმევენ ქობულეთს, თქვენ გაგაუქმებენ და მერე გურიას მოადგებიან. ერთ დროს ჩვენ ორივეს დავკარგავთ ჩვენს სამთავრო ძალას, მიუგეს გურიელებმა.

– მაგრე იყოს, მიუგო მაქსიმე თავდგირიძემ. მე დაკარგვა მირჩევნია, ოსმალმა რომ წაიღოს ის მიჯობს, ხოლო, ჩემ ფერ გურულ კაცს კი არ დაუვარდები ძირს, მე არ დავიჩაგრო. ასე ზომავს ჩემი ჭკუა.

საქმე დროებით დაშოშმინდა. თავდგირიძე ჩურჩვნას მიეცა. ამისთვის საჭირო იყო ფული. ფულის შესაძენათ აი რას შვრებოდა:

მიჰყვა თავის ყმებს და გოგო, ბიჭები აღარ დასტოვა, ყველა ოჯახს წაართო ყმაწვილები, ძუძუ მწოვარებს გარდა, თითქმის ხუთ ხუთი წლის ყმაწვილებსაც კი იტაცებდა, ყველა ამათ შეაგროვებდა ერთათ, გადარეკდა ახალციხეში, ტრაპიზონში და იქ ოსმალებზედ ჰყიდდა. თავადმა მაქსიმე თავდგირიძემ მთელს ოსმალეთში სახელი განითქვა, როგორც ჩინებულ ქართველთა შვილების დამსყიდავმა. მაქსიმ თავდგირიძე თავის ყმების შვილების დაყიდვას რომ მორჩა, მერე რამდენიმე ყაჩაღ ყმები შემოიხვია გარს, ესენი გაალაღა, გააოსტატა, გაოსტატებულებს მიუსევდა ხოლმე სახასო გლე-
ხებს, საეკკლესიოს, სათავადოს, შვილებს სტაცებდნენ და ყველა ამათ მიერეკებოდნენ ოსმალში დასასყიდათ. ამ პირის მეოხებით ახალციხეში სამარცხვინოთ ქართველთა შვილების დასაყიდი ბაზარიც კი განწესდა. ახალციხეში ამისაგან ჩარეკილს გოგო ბიჭებს ყოველთვის ახალციხის ფაშა ყიდულობდა.

ჩვენ აქ ამ გაყიდ-გამოყიდვაზე ერთობ ადვილათ ვლაპარაკობთ. ამ გაყიდვის დროს ყმაწვილებისაგან დიდი გოდება და ტირილი ისმოდა ხოლმე, დიდი წყევლა და შეჩვენება მათის დამყიდავის, გმობა, მაგრამ დამყიდავს ვინ

რას უზამდა. იგი ქვეყანას ღუპავდა და შენ

რამდენიც გინდოდა გეწყევლა? მათთვის სულ ერთი იყო, ოღონდ თავიანთი ველური ჰაზრეზი და მოთხოვნილება კი დაეკმაყოფილებინათ. გლეხების ტაციობით მაქსიმ თავდგირიძემ დიდ ხანს ვერ ინავარდა და იბატონა. რასაც ეს გურულ გლეხებში ფულებს იღებდა, ამაზე მეტი მას ხონთქრის მისართმევად ეხარჯებოდა რაის მეოხებით თანხას ვერ ადგენდა, რომ ამ დიდის თანხით შესძლებიყო დიდი ბატონობის შესყიდვა. ამას სურდა, რომ ქრთამების მიცემით ქობულეთის ფაშობა მიეღო და მიღებისას კიდეც გათათრდებოდა. ჯერეთ ქობულეთში დამკვიდრდებოდა და გაიმაგრებდა ფეხს და მერე იქიდამ გურიელებს დაუწყებდა ჩხუბს, გურიას აიღებდა, გურიელათ თითონ გახდებოდა, გურია ოსმალოს საფაშალიკოთ გარდაიქცეოდა და მერე გურიასაც გაათათრებდა. ამის ფიქრი ასე იყო, რომ ერთი ფაშა ახალციხეს ყოფილიყო, როგორც იმ დრომდის იყო და მეორე გურიაში, გურია ანუ სანჯაყათ დაენიშნათ. მაქსიმ თავდგირიძემ იმდენი იგველაძუა, რომ კინაღამ დავით გურიელიც მიიმხრო თვისკენ, მაგრამ ამას სხვა გარემოება წამოეჩხირა წინ და ამან შეაბრკოლა მათი განძრახვა. ამაზე ჩვენ სხვა წერილში ვსწერთ.

– 21 –

მაქსიმ თავდგირიძემ ფაშობის შოვნის გამო უღალატა ქართველებს, თავისი გლეხ კაცობა მთლათ ოსმალში გადარეკა და გაყიდა, მაგრამ მაინც ვერა ეშველა რა, სტამბოლს წასვლა ვერ მოახერხა, ქრთამის მისაცემათ დიდი ძალი ოქრო და ვერცხლი იყო საჭირო და იგი რაც ფულებს შოულობდა გურულ გოგო-ბიჭების დაყიდვით, ამ ფულებს მას სულ ახალციხის ფაშა სტყუებდა, რადგანაც იგი ჰპირდებოდა, რომ გურიის ფაშობას მე გიშოვნიო. დრო გადიოდა და მაქსიმ თავდგირიძეს კი წადილი არ უსრულდებოდა. თავდგირიძე ამაზე დიდათ დარდობდა, აღარ იცოდა რა ექმნა. ახალციხის ფაშასთან თათბირი ჰქმნა. ფაშამ უთხრა:

– მაქსიმ! შენ ოღონდ გათათრდი და მას მერე ყეელაფერი ადვილი იქმნება. მე დიდათ დაგეხმარები.

– შენ თუკი მომიხერხებ რამეს, მე მზათა ვარ, დიდის სიამოვნებით გავთათრდები. მიუგო მაქსიმ თავდგირიძემ.

– ყველაფერს მოგიხერხებ, ეჭვი ნუღარ გაქვს, უთხრა ფაშამ, და ამათ ერთმანეთს სიტყვა მისცეს.

ფაშას ძრიელ გაეხარდა მაქსიმ თავდგი-
რიძეს სიტყვა გათათრებისთვის. ფაშას მით უფ-

რო უხაროდა ეს, რადგანაც ასეთის თავადის
გათათრებისთვის იგი სულთანისაგან დიდს
მად-
ლობას მიიღებდა. და აქამდის თავდგირიძე
აძლევდა ფაშას ქრთამებს, რომ მის დახმარებით
ფაშობა ეშოვნა, ახლა თვით ფაშამ დაუწყო
მას ქრთამით დახმარება, ოღონდ კი იგი გათა-
თრებულიყოს. ესეც მალე მოხდა. მაქსიმ თავ-
დგირიძემ თავის ცოლს განუცხადა.

– მე უნდა გავთათრდე, თუ გინდა შენც
გათათრდი, ფაშობას ვიშოვნი, გურია არ ამ-
ცდება და შენც გურიის დედოფლათ გაგხდი.

– უწინამც დღე დამელევა, მე ვერ გავთა-
თრდები. შენ როგორც გერჩიოს ისე ქენი, მე
გურიაში გადავალ.

– უბრალოთ შეიწუხებ თავს. მე გავთათრ-
დები, ფაშობას მივიღებ, მერე გურიას ავიღებ
და შენც გაგათათრებ.

– მაშინ მოხდეს ისე, როგორც შენ გენე-
ბოს, თუკი შენ მაგაებს მოახერხებ, რასაც ბრ-
ძანებთ. ეგ მერე ვნახოთ. ცოლქმარნი ასე მო-
რიგდნენ ერთმანეთში. მაქსიმ თავდგირიძე
მალე წავიდა ახალციხეში და ფაშას გამოუც-
ხადა შემდეგი:

– მე მზათ გახლავართ გათათრებისათვის.

– ძალიან კარგი, ჩემო მაქსიმ. მიუგო ფაშამ.

ფაშამ მალე იხმო მოლა ხოჯები და მალე
დიდის ამბით ახალციხის ჯამეში მაქსიმ თავდ-
გირიძე გაათათრეს და სახელათ სულეიმანი
უწოდეს.

გათათრების დღეს ამას ფაშამ დიდი პატი-
ვი სცა და რჩევა მისცა, რომ სტამბოლში
წასულიყო და სულთანს გამოსცხადებოდა. ფა-
შამ ურჩია, რომ უფროს ვეზირს და სულთანს
რამდენიმე გურიის გოგო ბიჭები წაუყვანეო და
იქ შენ მაშინათვე მოგცემენ ქობულეთის ფა-
შობასაო. სულეიმან თავდგირიძემ სცნა ფაშის
რჩევა და დიდათ დადარდიანდა, რადგანაც
ამის-
თვის ადვილი აღარ იყო გოგო ბიჭების მოგ-
როვება, საკუთარი ყმები მას აღარ ჰყავდა და
გურიის ხალხიც ემტერებოდა.

მან დაუწყო გურიიდან ქურდულათ გო-

გო ბიჭებს ტაციობა, ზოგს მებატონეთაგან ყიდულობდა. მალე შეჰყარა ორმოცდაათამ-
დის გურიის გლეხის მშვენიერი გოგო ბიჭები, ესენი შეაგროვა ერთათ, მალე ჩარეკა ბათომში, ჩაყარა ერთს გემში და გაუდგა სტამბოლის
გზას, თან წაიღო ახალციხის ფაშის წერილი. ეს მალე მიშავდა სტამბოლში, ნახა დიდი ვე-
ზირი, მიართო ქრთამი. ამის შემდეგ ეღირსა სულთანის ნახვას და მასაც მიართვა გოგო ბი-

ჭები და თან გარდასცა ახალციხის ფაშის წე-
რილი. სულთანმა სცნა თავდგირიძის გათათ-
რება, ერთგულება და ამიტომ მას ტანზე ხე-
ლი გადაუსვა და მადლობა უთხრა, ნიშნათ პა-
ტივისცემისა. თავადის შვილობის სამაგიეროთ
სულთანმა ბეგობა მისცა, მცირეთ ფულიც და
თან დაჰპირდა, რომ შენ დაბრუნდი შინა და
ჩვენ ყველაფერს აგისრულებთო. სულეიმან
თავდგირიძე სიხარულით სავსე და დაიმედებუ-
ლი დაბრუნდა საქართველოში და მალე მოვი-
და. მოსვლისთანავე ამას უწოდეს სულეიმან
ბეგი-ქობულეთისა.

სულეიმან ბეგი ხონთქრის მოწყალებას
მუდამ დღე ელოდა, ამიტომ ეს გურულების
და ქრისტიანების სავნოთ აღარაფერს საძაგლო-
ბას ერიდებოდა. ამან ხელახლავ დაიწყო გოგო
ბიჭების ტაციობა, ცარცვა-გლეჯა, ქრისტია-
ნების შეწუხება და ჩაგვრა, ამაებს გარდა იგი
მიჰყვა ეკკლესიების ცარცვას, გაცარცვის შემ-
დეგ ქცევა-ნგრევას. ამან გამოსდევნა ნინო
წმიდის ეკკლესიის ეპისკოპოზი, ამან ააკლებინა
ეს ეკკლესია და გააცარცვინა. ერთის სიტყვით
ეს ურცხვი მოღალატე, ქართველთა სისხლის
მსმელათ გარდაიქცა, ამისმა აბეზრობამ და ბო-
როტებამ გურია შეაწუხა, მის სასტიკის ხმა და

ბოროტება სტამბოლშიაც კი განისმა. ძალადო-
ბით, ხმლით თავის კვეთით და სიკვდილის და-
ქადებით ამან ბევრი ქართველიც გაათათრა,
ქობულეთის გათათრების საქმე თითქმის ამის
მტრობით და საძაგლობით იქმნა დაწყებული,
მაგრამ ეს ბოროტი ამასაც არ დასჯერდა, მალე
თავის შვილები მოსტაცა მეუღლეს და იგინიც
გაათათრა, ვერც ამით ეშველა რამე, დღე ღა-
მე ფაშობას ელოდებოდა, მაგრამ ვერ მოესწ-
რო წადილის შესრულებას და ქვეყნისა და
სჯულის მოღალატე გარდაიცვალა უბრალო

ბეგის სახელ წოდებით. ამ ბოროტის ქართველის უპირველესი შვილი იყო მემედ ბეგი თავდგირიძე.

მემედ ბეგი თავდგირიძე მამამ ადრიდგანვე შეაჩვია მუსლიმანობას, ქართველთა მტრობას, სისხლის სმას და ბოროტებას; მამა შვილს ავალებდა, რომ შვილს ისეთი ერთგულება აღმოეჩინა ოსმალეთის მთავრობის წინაშე, რომ მის მეოხებით ოდესმე ფაშობა მიეღო.

მემედ ბეგს მამამ ადრიდგანვე მიუჩინა მოლა ხოჯები მასწავლებლათ, მოლა ხოჯები სწვრთნიდნენ მას თათრულ წერა-კითხვაში, სჯულის შესწავლაში. ამ პირებმა მემედ ბეგს სასტიკათ ჩაუნერგეს ფანატიზმი. მემედ ბეგს

ქართული წერა კითხვაც სცოდნია. ამისგან და ამის მამისაგან ქართულათ დაწერილი წერილები მე თვით ვნახე. ესენი თავიანთ თავებს ქობულეთის ბეგებად უწოდებენ და წერილის ბოლოს თათრულს ბეჭედს ასომენ. წერილებიდამ სჩანს, რომ მამაცა და შვილიც დიდი მოდავენი, მოქიშპენი და მოღალატე ყოფილან გურიელებისა. ეს მასალები მე მოვიპოვე ოზურგეთის სამაზრო სამართველოს ძველს არხივის ქაღალდებში, რომელ არხივის 120 ფუთი ქაღალდები ოზურგეთის ვაჭრებზე იქმნა დაყიდული. მე აქა იქ მეწვრიმლის დუქნებში შევკრიბე ესენი და „წერა-კითხვის სამართველოს“ გარდავეცი. გურიამ ამით დიდი ძალი მასალები დაკარგა და ნამეტურ გლეხკაცობამ თავის წინაპართა თავგადასავალთა მრავალ ძვირფასი ცნობები.

ქობულეთში ამათ ჰყვანდათ შედგენილი ახალ გათათრებულთ ქართველთა დასი და ესენი გურიაში საიდუმლოთ გლეხებში ქადაგებდნენ და გლეხებს აქეზებდნენ, რომ იგინი ქობულეთში გადასულიყვნენ, იქ თათრობა მიეღოთ, ოსმალოს მფარველობის ქვეშ შესულიყვნენ და მაშინ იგინი გათავისუფლდებოდნენ თავიანთ მებატონეთ მონებისაგან და ქართველ-

თა და რუსთა სამეფოის მფლობელობის და ხარკისაგან. ესენი იხმობდნენ თვისკენ ყველა დამნაშავეებს, კაცის მკვლელებს და ყაჩაღებს, ვინც კი რამეს დააშავებდა გურიაში და ამას გურიელების სამართლით დასჯას გადუწყვეტდნენ, ის იმდენს ეცდებოდა, რომ ქობულეთში გადა-

ვიდოდა, იქ თავდგირიძეების მფარველობის ქვეშ რაკი შევიდოდა, მერე ამას აღარაფრის შიში აღარ ჰქონდა, იგი გათათრდებოდა და შემდეგ თავისუფალ იყო ყველაფერ შიშისაგან. თათრობა მას პატიოსნებას და სიმართლეს სძენდა. უნდა ითქვას, რომ თავდგირიძეების მეოხებით ჩვენს სამშობლოს დიდი ზარალი მოუვიდა, გურიას ამათ დიდი უბედურობა დაატეხეს თავზე,
ესენი უსისინებდნენ ძმას ძმაზე, თავადს თავადზე, აზნაურს აზნაურზე და ყველა ამაებით კი თათრობას შველოდნენ. გურულ წვალებულს გლეხკაცებს უხვათ იძენდნენ, ათათრებდნენ და თავიანთ ძალას ამაგრებდნენ მით.

სწორეთ ამ დამღუპავს გვარის მეოხებით მოხდა, რომ გურიაში ყაჩაღობა და კაცის კვლა გამრავლდა, ყოველ კაცის მკვლელის და ყაჩაღის ბუდეთ ქობულეთი ითვლებოდა და ამათ მფარველათ თავდგირიძეები. ეს ხელობა თავდგირიძეების ისეთ მემკვიდრეობითი საკუთრებათ

გარდაიქცა, რომ როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორეთ ასეთისავე თვისების და ხელობის იყო მემედ ბეგის შვილი – ალი ფაშა თავდგირიძე. ზემოხსენებულისავე პირების მეოხებით ოსმალოს ფულით გურიის ზოგი ერთ მებატონეთაგან შესყიდულ იქმნა სოფ. ჭახათი, კეჭიეთი და რამდენიმეც სხვები, რადგანაც მათი დამორჩილება ოსმალოს მონა თავდგირიძეებმა ვერა ღონის ძიებით ვერ მოახერხეს. სოფლის შესყიდვის შემდეგ ხალხი გათათრებულ იქმნენ სრულიად. ასე და ამ გვარად თავდგირიძეები სასტიკ მეხათ და რისხვათ მოევლინენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას და უღვთოთ დაღუპეს გურიის ერი. მათგან დაყიდულის გურულის გოგო-ბიჭებით აქამდის სავსე იყო მისირი, დიარბექირი, სტამბოლი და სხვა ადგილები. ამას „კალმასობის“ დამწერიც ხომ მოგვითხრობს, რომ მისირში ყველა ფაშები ქართველები არიანო, საქართველოდგან პატარაობის დროს მოტაცებულნი და დაყიდულნი, რომელთაც შემდეგ იქ ფაშობა მიუღიათო. მაგრამ არც თავდგირიძეებს შერჩათ თავის ავკაცობა, მემედ ბეგი თავდგირიძეც უბრალო ბეგის სახელ წოდებით გარდაიცვალა, იგი არ ღირდა მის სამშობლო ქვეყნის ღალატის ფასათ. სულეიმან

ბეგმა თავის სამშობლოს ბეგობის გამო უღალატა. თავადობა ბეგობაზე შესცვალა. ბეგობის სახელით მოკვდა, ისევე დაემართა მის შვილებს.

მაქსიმ (სულეიმან) თავდგირიძის მეუღლე კი, დავით გურიელის ქალი, დაშთა ქრისტიანობაზე მტკიცეთ, ამ ქალმა არაფერს უღალატა. ეს ყოველთვის მეცადინეობდა შვილების და შვილის შვილების ქრისტიანურათ გაწვრთნაზე, და გამოზრდაზე, მაგრამ იმოდენათ ვეღარას აწყობდა, რადგანაც ქართველთა მტერობის შხამი სულეიმან ბეგის შვილის შვილებს მემკვიდრეობით უფრო სასტიკათ ეძლევოდათ და უფართოვდებოდათ. ეს პატიოსანი მანდილოსანი გარდაიცვალა ამ საუკუნის ნახევრის რიცხვებში. იგი დაასაფლავეს ქრისტიანულის წესით, ქობულეთის სოფ. გვარას, ხუცუბანს ზეით, თეთროსანის ნაეკკლესიარზედ. თეთროსანის დაქცევის მიზეზები მის მეუღლე სულეიმან ბეგს თავდგირიძესაც ეკუთვნის.

სულეიმან ბეგის შვილს მემედ ბეგს ჰყვანდა ორი ვაჟი, ერთს ალი ერქო და მეორეს ოსმანი. ორივ ესენი ჯერეთ შინა სწავლობდნენ და მერე სტამბოლის სამხედრო სასწავლებელში, სწავლის დამთავრების შემდეგ ალი თავდგირიძე
ოსმალოს ჯარში აქა იქ მსახურებდა. რამდე-

ნიმე ხნის შემდეგ ეს თავის სამშობლოში დაბრუნდა და აქ დაიწყო მოქმედება. მამის მსგავსად ეს პირი გრიგოლ გურიელსაც ენათესავებოდა და ეკედლებოდა, ხშირათ ერთმანეთში მისვლა მოსვლაც ჰქონდათ, წვეულებაც ხშირათ იცოდნენ და წერილების მიწერ მოწერაც. ალი თავდგირიძეც თავის მამისა და პაპის გზას დაადგა, მათის ზნე ხასიათის მექონი აღმოჩნდა, თუმცა ნათესავი ქართველთა და ისეთი სუფთა პირის, როგორც იყო ნეტარ ხსენებული გრიგოლ გურიელი, მაგრამ მასთანავე ურცხვი, ჰარამი, ბოროტებით სავსე და შხამიანი გესლის დამნთხევი, დიდათ მოძულე ქართველთა, დიდათ
მოძულე ქრისტიანობისა, თითქმის სისხლის მსმელი და მასთანვე უზნეო და ზნეობით წამხდარი. ამან თავის სადგომი სახლი ყაჩაღეზის ბუდეთ გადააქცია, ამის სახლში მუდამ ღამ 30-40 ყაჩაღი ათიებდა, ყველა ეს ყაჩაღები კი გურიაზე ნავარდობდნენ, გურულებს იტაცავდნენ, ხალხს სცარცვავდნენ, ცხენებს და

საქონელს იტაცავდნენ, ყველა ამაებს მიერეკე-
ბოდნენ ალი თავდგირიძის სახლში, იქ ჰფარა-
ვდნენ, მერე ოსმალში მიჰყვანდათ და ჰყი-
დდნენ სანახევროთ, ნახევარს ყაჩაღ ქურდები
იღებდნენ და ნახევარს ალის აძლევდნენ. ასე-

თის ოსტატობით, ქურდების და ყაჩაღების შე-
ნახვით ალიმ ოსმალოს მთავრობის წინაშე სა-
ხელი მოიგო და უკანასკნელ იგი გახდა ფა-
შად და იწოდა ალი ფაშა თავდგირიძეთ. ჩვენ
ამ პირის ცხოვრების აღწერას დაწვრილებით
არ შეუდგებით, რადგანაც ეს ბოროტი და
ყოვლათ გაუნათლებელი მტერი ამის ღირსი არ
არის. ჩვენ აქ აღვნუსხავთ მარტო იმ საქმეებს
და ვნებას, რაც იმან ჩვენს სამშობლოს და
ხალხს დაატეხა უკანასკნელ ომის დროს.

ალი ფაშა თავდგირიძე წინეთ მსახურებ-
და ოსმალეთში, ორდში, მერე კოპურს, სევა-
ზის ვილიეტში, სამსონს იქით. სევაზის ვილეიე-
ტშის ხალხი ამან თავის უზომო ქრთამებით
შეაწუხა, ამიტომ ხალხმა სულთანთან უჩივლა.
სულთანის ბრძანებით გამოცვალეს. ამის შემ-
დეგ იგი საქართველოში მოშავდა და სცხოვ-
რობდა ხან ქობულეთში და ხან ბათუმში. იყო
დიდი მექრთამე და უსამართლო. ამის ხელით
სამართალი ფულით იყიდებოდა. ანდაზაც ყო-
ფილა აჭარაში დაშთენილი, რომ „ალი ფაშას სა-
მართალი ფულით იყიდებოდაო“. ოსმალის
მთავ-
რობისაგან ამან ბათომში სამხედრო ჯარის უფ-
როსობა მიიღო, ამის ადიუტანტი გულო აღა
კაიკაცაშვილი იყო, რომელ პატივცემულს

ქართველ მაჰმადიანს ბევრი რამ ახსოვს თავის
გენერლის შესახებ. ეს კაიკაციშვილი სოფ. სამ-
ებაში სცხოვრებს, სჯულით მუსლიმანია, მაგრამ
ტომობით და ენით ქართველი, ორის ხელით
ცისაკენ გაპყრობილნი ესა და დედი აღა ღმერთს
ევედრებიან მხურვალეთ, რომ მათი მოძმეები
ძველებურათ შეუკავშირდნენ ქართველებს და
ძველს დონეზე დადგნენ. შეერთების უმალვე
ესენი ჩვენსკენ გადმოვიდნენ, შვილები სასწავ-
ლებელში შეიყვანეს. კაიკაციშვილი დღეს ადე-
სის უნივერსიტეტში სწავლობს და დედი აღის
ნიჟარაძის სტავროპოლის გემნაზიაში.

აქ უნდა დაუმატოთ, რომ ალი თავდგი-
რიძისაგან ფაშობის შოვნის საქმეში ცოტა მო-

ნაწილეობის მიღება მის დედასაც ეკუთვნის. მისი დედა იყო ლაზელი ქალი, ჰაჯი შაინ ოღლისა, დინდინ ხანუმი, მოძულე ქართველთა, თითქმის სისხლის მსმელი ქართველთა. ამ ქალის მამის სასახლეც ქართველთა ტყვეების ბუდეთ იყო გადაქცეული. ამ ქალს ქართველები ისე სძულდა, რომ 1855 წ. რადგანაც ალი ფაშის მამა მოკლეს, მაშინ დინდინ ხანუმმა ლეკური მოიკრა და ომში წავიდა. მე ისე ვერ დავბრუნდებიო, რომ ქართველის სისხლი არ დავაქციოვო. ომის დროს ამ ქალმა სახელი

განითქვა. ომის გათავების შემდეგ ოსმალში წავიდა, სულთანი ნახა და ამას გამოსთხოვა ალი თავდგირიძის გაფაშება, ანუ ფაშობა.

უკანასკნელ ომის წინეთ, 1877 წ. ამასთან დიდი მოლაპარაკება ქონდა გამართული გრიგოლ გურიელს. გრიგოლ გურიელს ალი ფაშას გარდა სხვა ქართველ ბეგებთანაც ქონდა ლაპარაკი გამართული. ყველას იმას სთხოვდა, რომ იგინი რუსებს დამორჩილებოდნენ და ბრძოლა არ აეტეხათ. მაგალითებრ ალი ფაშას ასე მიმართა გრიგოლ გურიელმა:

– ალი ფაშა, როგორც ნათესავ კაცს დაგარწმუნებ, რომ რუსეთს რაც უნდა დაემართოს და რაც უნდა ბევრი ხალხი დაეღუპოს, მაინც ციხის ძირის, ბათუმის და აჭარის აღება გადაწყვეტილი აქვსთ, ამიტომ გირჩევ შენ, როგორც ჩემს ნათესავს, რომ უბრალოთ ბრძოლას თავი გაანებო და გარემოებას დაემორჩილო, სიტკბოთი და მშვიდობით რუსეთს ჩაბარდეთ, უბრალო ბრძოლით არაფერი გამოვა, ხალხი დაიხოცება, დიდი უბედურება მოხდება. რუსნი შენ მიგიღებენ შესაფერის პატივით, ულუფას მოგცემენ და ღირსებასაც აგიმაღლებენ.

ალი ფაშამ არ ქნა ეს, რადგანაც იმან კარგად იცოდა, რომ თავის ყაჩაღობას აქ ვერ

გაიყვანდა, იმას აქ არავინ რას მოუთმენდა და ამიტომ უარი განაცხადა. მალე ომიც დაიწყეს. ალი ფაშას დიდი ძალი ჯარი ებარა. მაგრამ ომში საქმე ვერ წაუვიდა კარგათ. ამას ეგონა, რომ ქართველნი უძლურნი არიანო, მე საქართველოს გზა და კვალი ვიცი, გურიას ავიღებთ, მას შემდეგ ქუთაისს, ქუთაისიდამ თბილისში ჩავალთ და მერე მე ფაშობას ვიშოვნიო.

ის კი არა და ამას წინაღმდეგ დაუტრიალდა საქმე. მან ჩვენ ჯარს დიდი ძალა შენიშნა და ცოტა არ იყოს ამაზე შეკრთა, აქა იქიდამ ჩურ-ჩვნა დაიწყო და რუსეთისკენ აპირებდა გადმო-სვლას. მაგრამ ვერც ამას ახერხებდა. იმ დროს მისთვის ეს ადვილი აღარ იყო. ამის საიდუმ-ლო განზრახვა ოსმალთაც კი შეიტყეს. მალე სამხედრო მინისტერი გამოგზავნეს. მინისტერი ჰყვედრიდა ალი ფაშას, რომ თქვენ ქართვე-ლები ხართ, ქართველებისაკენ გიჭირავთ თვა-ლიო. ჩვენ თქვენ აღარ გენდობით. ალი ფა-შა კი ფიცით ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ მინისტერს არ სჯეროდა, ხალხში გაავრცელეს ხმები, რომ ალი ფაშამ ხონთქრის ღალატი გა-ნიძრახაო. მაშინ ამის შესახებ ქობულეთელ ქართველ მაჰმადიანებმა გამოთქვეს შემდეგი ლექსი:

„ხვათქარი და რუსი ჩხუბობს,“
„იგივ არის ორივ ეშვი“
„ალი ფაშამ გვიღალატა“
„აგვიყვანა კვირიკეში.“
„თვითონ ფულები აიღო“
„ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში,“
„მასაც კაი არ დამართეს“
„ბაწრით ჩაითრიეს გემში,“
„მისი ყვირილი გვესმოდა,“
„სუფსის გაღმა ბაილეთში.“

ეს ლექსი ხალხმა აი რათ შეადგინა ალი ფაშაზე: ალი ფაშამ რა ნახა მტრის ძალი და ოსმალთა დამარცხება, ამან თავისის მელიაო-ბით დასწერა წერილი და მაშინდელს რუსის მთავარ მართებლის თანაშემწეს გამოუგზავნა და თან სთხოვდა, რომ მე პირობა შევასრულე, თქვენს ჯარს გზა და ძალა მივეცი და თქვენ დანაპირებს რატომ არ მაძლევთო. მე შევიტყე, რომ ჩემი 100 ათასი მანათი, რომელიც მე უნდა თქვენის მთავრობისა-გან მიმეღო, იგი მიუღიათ გრიგოლ და იესე გურიელებსა და დაუსაკუთრებიათო. ვით-ხოვ მის დაბრუნებასაო. ალი ფაშის წერილი სარდლის თანაშემწეს ბრძოლის ველზედ მიუ-ვიდა. მან გახსნა წერილი და ნახა ქართუ-

ლათ დაწერილი იყო. აქვე იმყოფებოდა გრი-გოლ გურიელი. წერილი გრიგოლ გურიელს წააკითხეს და საქმე სცნეს. მთავარ სარ-

დალი და სხვები გაჰკვირდნენ დიდათ, რომ ალი ფაშას ასეთი ჭორები სცოდნიაო. ჩვენ იმას როდის დავპირდით ფული, და ან იმან ჩვენ რა სარგებლობა მოგვიტანა ომის დროსაო, სულ არაფერიო; გრიგოლ გურიელს ეს ამბავი დიდათ ეწყინა, მაგრამ ყურადღება მაინც არ მიაქცია, რადგანაც მან კარგათ იცოდა ალი ფაშას მელიაობა და საქმეები. ეს წერილი მე თვით ვნახე გრიგოლ გურიელის სახლში 1890 წ. განსვენებულმა წერილი მიჩვენა და თან ბევრი ამბებიც მიამბო ალი ფაშის შესახებ და მას დიდათ ჰკიცხავდა. წერილიდამ აღმოჩნდა, რომ ალი ფაშას ქართული წერა კითხვა მეტათ უხეიროთ სცოდნია. ზოგიერთებმა მარწმუნეს, რომ არცარა თათრული იცოდა კარგათაო.

დერვიშ ფაშის და ალი ფაშის უკმაყოფილება ისე გამწვავდა, რომ ალი ფაშამ დერვიშ ფაშა დროებით თავიდამ მოიშორა, სტამბოლში გაისტუმრა და მხოლოდ ომის შემდეგ მიეცა ალი ფაშას ქობულეთში დაბრუნების ნებართვა. ეს მალეც მოვიდა ბათომში, თავის თანამემამულეთა წინაშე თავი იმართლა, რომ მე

ოსმალოს ღალატი უბრალოთ დამწამესო. მასზე გამოთქმული ლექსიც არ ყოფილა ჭეშმარიტის ცნობებით და განკითხვით სავსე. ალი ფაშა დიდათ ემდურებოდა დერვიშ ფაშას და ეს ეძიებდა ღონისძიებას, რომ ოსმალოს სულთანისთვის დაემტკიცებინა თავის ერის ერთგულება და დერვიშ ფაშის შეცდომები და საქმის უცოდინარობა. ალი ფაშას ბედმა გაუღიმა, ამან ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ომის გათავების შემდეგ ქართველ მაჰმადიანთა შლილობა იყო და მრავალნი იმათთაგანი ოსმალში აპირებდნენ გადასახლებას. ყველა ეს აშლილი ხალხი აღელვებული იყვნენ ფანატიკ მელა ხოჯებისაგან, ამ ფანატიკს და აშლილს ხალხში დატრიალდა ალი ფაშა თავდგირიძე, დაიწყო საუბარი ოსმალში გადასახლების შესახებ, რასაკვირველია ფანატიზმით დარაზმული. ხალხს უბნებოდა.

– ხალხო, აქ არ დარჩეთ, თორემ იცოდეთ, რომ მუსლიმანობა აქ ცუდ დღეში ჩავარდება. ყველას გაგაქართველებენ, ბევრი კაცები და დედაკაცები უნდა წაწყმდნენ, გაქართველდნენ, ჯეენეთს თვალით ვერ ნახავთ მე გაფრთხილებთ, როგორც მუსლიმანი, რომ თავს უშველოთ, აქ ქართველში ცხოვრებას

ოსმალში დაღუპვა უნდა არჩიოთ, მიტომ რომ მუსლიმანის ბინა იქ არის, მისი ფადი შახი იქ ზის, იქ ნათობს ცხონების მზე.

ამის საუბარს ხალხი სულ განაბული ისმენდა, რადგანაც ალი ფაშა თავდგირიძე ქართველ მაჰმადიანებში დიდს გავლენიან პირათ ირიცხებოდა. ალი ფაშა ცხადათ დარწმუნდა ქართველ მაჰმადიანების მღელვარებაზე, ქართველთა სიძულვილსა და მტრობაზე. იგი აშკარათ დარწმუნდა, რომ ეს ხალხი აქ არ დარჩებოდა, საითაც იგი წავიდოდა, ხალხიც იქით წაჰყვებოდა მას, ამიტომ ალი ფაშა თავდგირიძე საჩქაროთ გაიქცა სტამბოლში, წარსდგა სულთანის წინაშე და მოახსენა, რომ მე მთელი ჩემი მხრის ხალხი ოსმალში მომყავს და ნება მიბოძეთო. სულთანმა დიდის სიამოვნებით მისცა ნებართვა და დიდს ულუფას დაჰპირდა. ახლაკი გამართლდა ალი ფაშა, გაქარწყლდა მინისტრის ჰაზრები, ალი ფაშა ერთ-გულ კაცათ გამოვიდა.

მინისტერი მაინც არ იყო გასამტყუნარი, ამან როცა საქართველოს ადგილები ნახა და ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ბეგ ფაშები, ეს უეჭვოთ ფიქრობდა მასზე, რომ ამ მშვენიერ ქვეყნის გურჯები ნუ თუ თავიანთ

გურჯებს უმტყუნებენ და ჩვენ მოგვემხრობიანო, არა მგონიაო. ამით იგი რასაკვირველია რომ მართალი იყო, ეს ასეც უნდა ყოფილიყოს, მაგრამ ასე არ იქმნა. დიდი ხანია მას შემდეგ გასული, რაც ოსმალთა მეოხებით ქართველ მაჰმადიანები ქართეელთა მტრებათ შეიქმნენ. მტერობით ამათ ოსმალებსაც კი გადააჭარბეს და ამიტომ ალი ფაშის მტრობის შესახებ ფიქრები უბრალო უნდა ყოფილიყო, რადგანაც ალი ფაშის გულ მუცელი გველ ბაყაყის ბუდეთ იყო გადაქცეული. მას ყაჩაღ ოსმალების და ქურდების სიყვარულის მეტი სხვა არაფერი ფიქრი ჰქონდა და ახსოვდა.

ალი ფაშა მალე მოშავდა საქართველოში და ქართველ მაჰმადიანებს მოუტანა ხონთქრის ცარიელი წყალობის ამბავი. ფანატიკებს გაეხარდათ, ამათ იწყეს გადასახლება. ამ გარდასახლების დროს სახლის საქონელი და ნივთები ჩალის ფასად იყიდებოდა. მთელი ქობულეთი აჰყარა და ქობულეთს გარდა კახაბერსა და მარადიდსაც მისწვდა. აქაც მოართვე-

ვინა მოლა ხოჯებს ქადაგება გადასახლების შესახებ, თორემ გაქართველდებითო; ქობულეთელების გადასახლების დროს დიდი უბედურება, დიდი გმობა და ტირილი ისმოდა მცხო-

ვრებთაგან. ბევრს არ უნდოდა თავის სახლ-კარის და სამშობლოს დატოვება, მწარეთ სტიროდა მის გამო, მაგრამ თან გაქრისტიანების ეშინოდა. იმ დროს რომ ესენი ენახა, ჩვენთაგანს იგი, მათი ცოდვით დაიწოდა. ვინც კი შეგნებულ ქართველთაგანმა ნახა, იმას სწორეთ ასეც მოუვიდა და შესწუხდა. ნეტარ ხსენებული გრიგოლ გურიელი ცრემლით სტიროდა თითქმის, აღარ იცოდა რა ექნა. ეს მალე მივიდა ქობულეთში ალი ფაშასთან და უთხრა:

– ალი ფაშა! შენ ჩემი ნათესავი ხარ, მე შენ პატივს გცემ, დიდათ ვაფასებ შენს შრომას ოსმალთა სასარგებლოთ, ხოლო გთხოვ, რომ დაწყნარდე და დაშთე იქა, რუსნი შენ დიდს პატივს მოგცემენ. მე გაძლევ ამის შესახებ სიტყვას და პირობას.

– არ შემიძლიან, თავი უნდა გავიმართლო, თორემ ღალატი შემწამეს, მე თქვენგან ვერა ავიღე რა, ჩემი დარჩენა აქ არ შეიძლება, მიუგო ალი ფაშამ.

– შენ თუ არ იშლი წასვლას, შენ წადი. ამ ხალხს კი თავი დაანებე, რა გინდა, რას ემართლები, კაცო, შენ რა მოგემატება ამათი აქედამ აყრით. გთხოვ ალი ფაშა, რომ მცირეთ ჩემს ნათესაობას დასდო პატივი და ხალხს

თავი გაანებო. იყვნენ აქ. ნუ აქეზებ იმათ გადასახლებისთვის.

– სულ ერთია. აქ რომ დარჩნენ, ესენი გაქართველდებიან, დაიღუპებიან. მუსლიმანის აქ დარჩენა როგორ იქმნება თქვენს გვერდით ქართველებთან, ეს არ შეიძლება. მე ამის მკაცრი წინაღმდეგი ვარ და ერთ კაცსაც არ დავსტოვებ აქ, რომ იგი ქართველებს შეემატოს.

– გეფიცები პატიოსნებას, ღმერთს და ჩვენს ნათესავობას, რომ აქ ამათ არა ფერს უზმენ, თქვენ წადით და ამათ თავი გაანებეთ, ნუ დაღუპავთ ხალხს.

– მე უნდა ვეცადო, რომ რაც კი შეიძლება ბევრი ხალხი გადავასახლო აქედამ, რომ მის საშუალებით სულთნის წინაშე ჩემი ერთგულება დავამტკიცო და დევრიშ ფაშის სიმ-

ტყუნე.

– ალი ფაშა! მაგით შენ შენს თავს არას უშველი, რაც ხარ ისევ ის იქმნები, ფაშობას არავინ წაგართმევს. სულთნისაგან რაც ულუფა გეძლევა, იმაზე მეტს არ მოგცემენ და ხალხს უბრალოთ დაღუპავ. ცოდონი არიან, ნუ იზამ მას.

– არ შეიძლება, გადასახლების საქმე გადაწყდა. იქ ამათთვის ადგილებს შაქირ ფაშა

ხიმშიაშვილი სძებნის და ამზადებს.

– არ შვრებით კაის ჩემო ალი ფაშა, შენ ქართველი კაცის შთამამავალი ხარ და მცირეც არის სიბრალული უნდა გქონდეს შენის ქვეყნის ხალხის, მათს დაღუპვას შენ სასტიკათ უნდა ერიდებოდე, მიუგო გრიგოლ გურიელმა.

– აკი ვერიდები და ამათაც ვარიდებ ჩემო გრიგოლ. მაგრამ რას გთხოვ, შენ ერთი ოცდა ათი ოქრო მასესხე, ამ ჟამად მჭირია ეგ და ამ საქმეზე, საქართველოზე და ქართველებზე მერე ვილაპარაკოთო. რა დროს მაგენია, ყველა კაცი თავის დიდებისთვის უნდა ზრუნავდეს.

გრიგოლ გურიელმა მაშინათვე მისცა ფული, 30 ოქროს მაგიერ 100 ოქრო, ამას იმედი ჰქონდა, რომ იქმნება ამითი მაინც მოულბო გულიო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ მას ვერცა რა ამით ეშველა. არ დასწყნარდა იგი. მალე მიაღწია მიზანს და იწყეს ქართველ მაჰმადიანებმა ოსმალოს გემებით გარდასახლება. ამათ თან მისდევდა და მოსდევდა ალი ფაშა და ოსმალეთში ამაგრებდა და აქა იქ ასახლებდა. შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი ალი ფაშასავით ანგარებით იყო სავსე, ბოროტი, მტერი

ქართველთა და დიდათ მოძულე. ამ ბოროტმაც დიდი ძალი ხალხი დაღუპა და მოატყუილა. გადასახლებულთა რიცხვით ისარგებლეს რამდენიმე მოწინავე კაცებმა და ოსმალოს მთავრობისგან ამათ მიიღეს საჩუქრები და პატივისცემა. გადასახლებულებს აქა იქ ისეთ უხეირო ჭაობიანს ადგილებში ასახლებდნენ, სადაც მათ ცხოვრება დიდათ უჭირდებოდათ, უკანასკნელ კინაღამ შიმშილისაგან გაწყდნენ.

უნდა ითქვას, რომ ალი ფაშაზე ნაკლები მტერი არ იყო შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი. ეს ბოროტი ფაშა უკანასკნელ ომის შემდეგ ოსმალში გადაშავდა, იქ დაიწყო გველა ძუობა. სულთანს ბევრი რაღაც ხმები მოახსენა ქართველ მაჰმადიანების შესახებ. ამას მისცეს ნება, რომ ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანებისთვის ადგილები მოეძებნა და მერე ამ ადგილებს სულთანი მისცემდა ქართველ მაჰმადიანებს. შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი, ეს მტერი და ქართველთა სისხლით გაუმაძღარი დაშავდებოდა ოსმალში, აქა იქ ადგილებს ეძებდა და მით აიმედებდა ქართველებს რომ კაი ალაგები სჩნდებაო.

ამასა და ალი ფაშას უნდა ჰკითხოს ღმერთმა და ნამუსმა, რადგანაც ამათის გველა ძუო-

ბით და მოტყუილებით გადასახლებულთ ქართველთ მაჰმადიანებს ისე გაუჭირდათ, რომ ამათ იწყეს ოსმალეთში თავიანთ შვილების დაყიდვა, ამაში აღებულს ფულს საქართველოში გზავნიდნენ, სიმინდს ყიდულობდნენ და გემებით
მიჰქონდათ საჭმელათ. ამ საბრალოებმა დიდი უბედურება და მწუხარება გამოსცადეს ოსმალეთში, დიდი შიმშილი, გაჭივრება, სიშიშვლე, შვილების დაყიდვა, და სხვანი, რამდენი ზღვაში ჩაიხრჩო, რამდენი შიმშილმა გაწყვიტა, ჭირმა და უბედურებამ, ყველა ამას კაცი ვერ მოსთვლის. ყველა ამ უბედურებათა მომხდენათ ალი ფაშა თავდგირიძე ითვლება, ყველა ეს ბოროტება ამან მხოლოთ თავის თავის ასამაღლებლათ მოახერხა და დაღუპა იმოდენა ხალხი.

ოსმალში გადასახლებულ ალი ფაშას დაენიშნა პენსია და საცხოვრებლად მიეცა ადგილები სამსონის ქალაქისაკენ, აქვე მის მახლობლივ იქმნენ დასახლებულნი ყველა ის ქობულეთლები, რომლებიც კი ამან გადაასახლა. ესენი მის მფარველობის ქვეშ ირიცხებოდნენ. ალი ფაშამ იქაც არ დაივიწყა თავის მამაპაპის გზა კვალი, იქაც გაიჩინა ყაჩაღები, მცარცვაები, კაცის მკვლელები და სხვანი. ესენი მგზავრებს და ადგილობრივ ქრისტიანებს ეცემოდ-

ნენ ხშირათ, სცარცვამდნენ, აოხრებდნენ
და ხოცავდნენ ქობულეთურათ. ამათ შეაწუხეს მთელი მხარე, ამაზე მცხოვრებნი დიდათ აღელ-

დნენ და ბოლოს ალი ფაშას უჩივლეს სულ-
თანთან და ყველა მის საიდუმლოებაც გამოაშ-
კარავეს. ალი ფაშას მაშინათვე ბრძანება მოუ-
ვიდა სტამბოლში გადასახლების და სამუდა-
მოთ იქ ცხოვრების. ეს გადასახლდა და მის
შემდეგ სტამბოლში სცხოვრებს. მის ხელ ქვეშ
ყოფილ ქობულეთელი ყაჩაღებიც აყარეს და
ზოგი მისირში გარეკეს, ზოგი დაირბექირს და
ზოგიც სტამბოლს იქით. უმეტესი ნაწილი ქო-
ბულეთელებისა მგზავრობაში გაწყდნენ, ამათ
თავიანთ ადგილებამდის ვერ მიაღწიეს. ეს ნა-
ყოფი გამოიღო ალი ფაშას ბოროტებამ და
შაქირ ფაშა ხიმშიაშვილის გველაძუობამ. ამა-
თზე არა ნაკლები ვნება მოუტანა აჭარელებს
ოსმან ფაშა თავდგირიძემ, რომელიც აღწერილ
დროს ქედაში სცხოვრებდა. აჭარის ხალხი სულ
ამ
მზე ბნელმა ააღელვა და გადაასახლა ოსმალეთ-
ში. შემდეგ ეს იმყოფებოდა ტრაპიზონის გუ-
ბერნატორათ და თავის საძაგლობას არც იქა
სტოვებდა, იქიდანაც იხმობდა ოსმალში გადა-
სახლებისათვის ქართველ მაჰმადიანებს.

ამ ბოროტ პირების მეოხებით დაიცალა

ქობულეთი, მთლათ მაჭახელი. მაჭახლიდან
2000 კომლი მეტი წავიდა, მთლათ ლივანი და
აჭარასაც მისწვდნენ, მაგრამ აქ მათს გველა-
ძუობას წინ დახვდა წინაღმდეგი ძალა. ეს
ძალა იყო ქედის მუფთას ქადაგება და ზოგი
ერთ ქართველთ რიგიან მაჰმადიანთა მოღვაწე-
ობა. მურღულსაც ამათ გაჰკრეს კლანჭები.
ამ პირებისაგან აი სადა და რა ადგილებში
რამდენ რამდენ მოსახლენი სცხოვრებენ ქარ-
თველ მაჰმადიანების:

ხოფას	100 კომლი	არხავეს	120 კომლი
ირიზას	100 კომლი	სურმენს	100 კომლი
ოფს	120 კომლი	ტრაპიზონს	100 კომლი
ფლატანას	120 კომლი	ბეგლევანს	150 კომლი
თრიპოლს	100 კომლი	გერესონს	120 კომლი
ორდს	1000 კომლი	აბდალას	130 კომლი
უნიას	1000 კომლი	ბაცას	1000 კომლი
ჩერშევრეს	100 კომლი	თერმეს	100 კომლი
ბაფარას	100 კომლი	სამსონს	150 კომლი
ბოლომანს	100 კომლი	სინაპს	120 კომლი

ახლად დასახლებულნი, უკანასკნელი
სამუდეროა.

რამდენიმე კიდევ სხვაგან სახლობენ. სხვების
ცნობები ჩვენ ჯერ არა გვაქვს შეკრებილი.
რამდენი ამათაგანი მგზავრობის დროს დაიღუ-

პნენ და დაიკარგნენ უღვთოთ, ამას რიცხვი

არა აქვს... ყველა ეს უბედურება და
გარდასახლება
ხსენებულ ფაშების მეოხებით და ღალატით
მოხდა.
რომ ყოველივე ჩვენ მიერ ამ პირების შესახებ
მართალია, ამას ბევრ ნაირის საბუთებით დავამ-
ტკიცებთ, მაგრამ რა საჭიროა ეს, ამაში განა
ეჭვი ვისმეს ექმნება. მე ვემორჩილები ნეტარ
ხსენებულ გრიგოლ გურიელის სიტყვას, რომე-
ლიც ქართველ ფაშებს ძრიელ კარგათ იცნობ-
და და მათთან დაახლოვებული მეგობრობაც
ჰქონდა. გრიგოლ გურიელს გარდა მე სხვებ-
მაც ასევე მარწმუნეს ამ ფაშების შესახებ. ამათ-
გან შესყიდვა და გასყიდვა ადვილათ იქმნებო-
და ხოლმეო.

ალი ფაშა ყველა თავის ბოროტებასთან
ნამდვილი თათრის ბილწების მექონიც იყო,
ცუდი საქმეების მიმყოლი და სხვა და სხვა
ცოლების პატრონი. ამის პირველი ცოლი იყო
ქობულეთელი ბეჟანიძის ქალი, მეორე ცო-
ლათ მენაბდის ქალი შეირთო. მერე მესამე
ცოლათ შეირთო ქარცივაძის ქალი, სოფ.
ქაქუთელის. ამ ქალის დედა დღესაც ცოცხა-
ლია, სოფელ ქაქუთში და ქრისტიანია. ამ დე-
დაკაცის ქმარი 1870 წლებში გაუთათრებიათ,
ეს კი არ გათათრებულა. ამის ყველა შვილებიც
თათრები არიან და სცხოვრებენ გურიაში.

ალი ფაშის ბოროტებას უკანასკნელ მრავალ
ქართველ მაჰმადიანები მიხვდნენ და შეიტყვეს
ყველაფერი, მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიან,
როცა ოსმალში ყოფილნი ქართველნი მთლად
დაიღუპნენ და გასწყდნენ. ალი ფაშა დღესაც
არ ისვენებს, ამასთან ხშირათ მიდიან ქობუ-
ლეთ აჭარა ლივანის ქართველ მაჰმადიანები,
მას ქრთამს აძლევენ და რამე საქმეებში დახმა-
რებას სთხოვენ. იგიც რასაკვირველია ქრთამებს
იღებს და საბრალო ქართველ მაჰმადიანებს ურ-
ცხვათ ატყუილებს. ჰპირდება, რომ საქმეს გა-
გიკეთებთო, მაგრამ იგი ამათ ხშირად არაფერს
უკეთებს, რადგანაც მას აქა იქ კარგად იცნო-
ბენ, იციან მისი ბოროტი ყაჩაღური ხასიათები.
მთელს თავის სიცოცხლეს ასე მოტყუილებით
ატარებს და ქართველ მაჰმადიანების ყვლეფით.
ალი ფაშისაგან ერთ გადასახლებულთაგანი და-

ბრუნდა საქართველოში, მე ვნახე იგი, დავეკითხე:

– აქედამ როცა მიდიოდით ოსმალში, რატომ არ ფიქრობდით რომ გაჭირვებაში ჩავარდებოდით.

– ღმერთმა ჰკითხოს ალი ფაშა თავდგირიძეს, შაქირ ფაშა ხიმშიაშვილს, ოსმან ფაშას და ყემპერ აღა ტაკიძეს და ხოჯებს, ჩვენი ცოდით არ ნახონ მათ კეთილი, სული მათ მოგვატუილეს,

მათ დაგვღუპეს, მათის მეოხებით ძრიელ ბევრი ხალხი გაწყდა იქ, ნამეტურ ალი ფაშამ მოგვატყუილა, გვპირდებოდა, რომ იქ სულთნისაგან დიდს წყალობას მიიღებთო, ჩვენც გავბრიყვდით,
ავიყარენით, სახლ-კარი დავღუპეთ და გადავსახლდით ოსმალში. მაგრამ იქ ჩვენ არაფერი მოგვცეს, მოგვცეს მეტად ცუდი ადგილები, იმით
ჩვენ ვერ ვიცხოვრეთ და ოთხი წლის განმავლობაში 10 ათასზე მეტი მარტო ქობულეთელები გაწყდნენ. აქეთაც აღარ გვიშვებდნენ.
ეს გვიყო ალი ფაშა თავდგირიძემ.

– ახლა რას აპირებთ, წახვალთ კიდევ? ვკითხე მე.

–რას ბრძანებთ, ღმერთმა ნუ ქმნას, აქ დავიხოცებით ბატონო და იქ კი არ წავალთ.

– აქედამ ჩვენ მიტომ გავიქეცით, რომ გაქართველდებითო, გაქრისტიანდებითო, ასე გვეუბნებოდა ალი ფაშა, სიტყვა ქართველის ჩვენ დიდათ გვეშინიან, რადგანაც ქართველი ჩვენ უსჯულოთ მიგვაჩნია, ამას მოვშორდით. ვისმინეთ ჩვენც მისი სიტყვა, გავიქეცით ოსმალეთში და იქ რა ვნახეთ, ყველამ ქართველი გვიწოდა. აქ ამას გავექეცით და იქ თვით ოსმალებმაც კი ასე ქართველებათ გვიცნეს. ვკითხეთ რამე, გვითხრეს რამე ყოველთვის ქართველი

გვიწოდეს და აბა აქედამ იქ რას მივრბოდით და ვღუპავდით ცოლ შვილსაო.

მაგრამ ღმერთმა ჰკითხოს ავს მოლა ხოჯებს და ჩვენს წამქეზებელთ და დამღუპავს ფაშებს.

ზ. ჭ.

1895 წ.
სოფ. წყალსიმერი (შავშეთს)